ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №84

2011 წლის 18 ივლისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №150 განკარგულებით დამტკიცებულ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის და საგანმანათლებლო ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №150 განკარგულებით დამტკიცებულ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის და საგანმანათლებლო ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამაში" თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**